ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო სხდომის ოქმი #09

18.12.2017

2017 წლის 18 დეკემბერს გაიმართა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რიგით მეცხრე შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ საბჭოს წევრი დელეგატების უმრავლესობა და მოწვეული სტუმრები-ექსპერტები. შეხვედრას უძღვებოდა ბ-ნი პავლე თვალიაშვილი.

დღის წესრიგი:

1. სხდომის გახსნა - პავლე თვალიაშვილი

2. მერიის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსის შემუშავება - რევაზ ბარბაქაძე

3. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ცენტრი - მერისთვის წარსადგენი წერილის მომზადება.

4. სხდომის შეჯამება.

18 დეკემბრის საბჭოს სხდომაზე დელეგატებმა აქტიურად იმსჯელეს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ცენტრის არსებობაზე ქ. რუსთავში. ცენტრი თავისი მნიშვნელობით მრავალფუნქციურია და მოიცავს სხვადასხვა სფეროებს. აქედან გამომდინარე, მოხდა განხილვა წერილის ფორმისა და შინაარსის. შემუშავდა საბოლოო ვერსია და ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით დამტკიცდა მერისათვის წარსადგენად.

საბჭომ ასევე იმსჯელა მერიის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსის შემუშავებაზე, რომლის ინიციატორიც არის თავად ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი. განიხილეს კოდექსის ფორმა, შინაარსი, მერიის თანამშრომელთა მოვალეობანი და ვალდებულებანი.

საბჭოს სხდომაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ექსპერტები. მათ დელეგატებს მისცეს რეკომენდაციები თუ რა მიმართულებით იყო საჭირო ყურადღების გამახვილება. ეთიკის კოდექსი უნდა იყოს კონკრეტული, გაწერილი მუხლობრივად და პუნქტობრივად.

შეხვედრის დასასრულს სხდომის წამყვანის მიერ მოხდა დღის შეჯამება და შემდეგი შეხვედრა ჩაინიშნა 2018 წლის 29 იანვარს 19:00 საათზე.

სხდომის მდივანი

ნუკრი რამიშვილი

ქ. რუსთაავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

სხდომა N9

18 დეკემბერი 2017

ელგუჯა ღვინიაშვილი	
ლეილა ჩიქვილაძე	
მარინა კვიციანი	
ამირან მეგრელი	
ლელა კეთილაძე	
ნუკრი რამიშვილი	
თემურ შაფათავა	
გვანცა მასტერენკო	
გვარამაძე მარინა	
ტუქსიშვილი მარიკა	
ნინო ნადირაძე	
მალხაზ რაზმაძე	
ფიქრია ბირთველიშვილი	
გივი ჩხაიძე	
რეზო ბერაძე	
სოფო კონჭოშვილი	
ინგა ჯიჯლავა	
რამაზი შალიკაშვილი	
გურამი სხილაძე	
ლია კობახიძე	